COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

პროგრამა „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის: ონლაინ ღონისძიება „მოქალაქეთა ყოფის გაუმჯობესება უკეთესი მმართველობის გზით“

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის, მარია პეინჩინოვიჩ ბურიჩის გზავნილი

ძვირფასო მეგობრებო,

წელს გამართული არაერთი ღონისძიების მსგავსად, დღევანდელი ღონისძიება იმართება მცირე დაგვიანებით და ონლაინ ფორმატში, ნაცვლად პირისპირ ფორმატისა.

სწორედ ეს არის დღევანდელი მსოფლიოს რეალობა.

თუმცა, მთავარია, რომ ღონისძიება იმართება, რათა აღინიშნოს შედეგები, რაც მოაქვს პროგრამას „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მოქალაქეებისათვის - არსებულ რთულ პერიოდშიც კი - და დაგვაფიქროს იმაზე, თუ დამატებით რისი გაკეთება არის შესაძლებელი.

ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ COVID-19-ის პანდემიამ ადამიანების სიცოცხლე შეიწირა, ჩვენ მას არ უნდა მივცეთ საშუალება, გაანადგუროს ჩვენი ცხოვრება:

ჩვენი წარმოდგენები იმის შესახებ, თუ ვინ ვართ ჩვენ, რა არის თითოეული ევროპელის ღირებულება და უფლება.

ევროკავშირსა და ევროპის საბჭოს აერთიანებს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობისადმი რწმენა.

სწორედ ამ რწმენის გამო, ჩვენ შევძელით, გვეთანამშრომლა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან, რათა გაგვეხორციელებინა უნიკალური, მრავალი თემის მომცველი, მრავალწლიანი და მრავალქვეყნიანი პროგრამა:

პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის, რომელიც ქვეყნებს ეხმარება ეროვნული კანონმდებლობის და პრაქტიკის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებაში და განამტკიცებს სახელმწიფო ორგანოების შესაძლებლობას შიდა რეფორმების განხორციელების კუთხით.

პროგრამის მიმდინარე, მეორე ფაზა ყურადღებას ამახვილებს კონკრეტულ სფეროებზე:

მართლმსაჯულების რეფორმა, დისკრიმინაციის აკრძალვა, კორუფციასთან ბრძოლა და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია.

მეორე ფაზის ბიუჯეტი შეადგენს 17,5 მილიონ ევროს, რომლის 80% დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, ხოლო 20% კი ევროპის საბჭოს მიერ.

პროგრამა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმისა და ევროკავშირის „20 შედეგი 2020 წლისთვის“ იმპლემენტაციას.

თუმცა, მნიშვნელოვანია ის, თუ რა შედეგები მოაქვს ამ ყოველივეს ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებისთვის.

ჩვენს ერთობლივ საქმიანობას მოაქვს ხელშესახები შედეგები, რომელიც მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფს უფრო ეფექტურ და ქმედით სერვისებს, რაც, თავის მხრივ, ზრდის მათ ნდობას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ.

სწორედ ამიტომ, ინდივიდუალურმა ქვეყნებმა გამოხატეს თავიანთი კმაყოფილება იმ მხარდაჭერასთან დაკავშირებით, რომელიც მათ მიიღეს, მათ შორის, COVID-19-ის კრიზისის დროს მიმდინარე ეროვნული რეფორმების განხორციელების კუთხით.

სწორედ ამიტომ, ევროპის საბჭომ მაისში განაცხადა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან თანამშრომლობის „განახლებისა და განმტკიცების“ საჭიროების შესახებ.

ამავდროულად, ეს ქვეყნები აღნიშნავენ, რომ საჭიროა მეტი პროგრესი კანონის უზენაესობის უზრუნველსაყოფად.

ვიცი, რომ ერთად ჩვენ ამას მივაღწევთ.

დღევანდელი ღონისძიება გაძლევთ შესაძლებლობას, დაფიქრდეთ გადადგმულ ნაბიჯებზე და იმაზე, თუ რისი გაკეთებაა შესაძლებელი, გაურკვევლობისა და რყევების პერიოდშიც კი.

პროგრამის „პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის“ მიმდინარე ფაზა 2021 წლამდე გაგრძელდება.

შესაბამისად, გისურვებთ წარმატებას მსჯელობაში იმაზე, თუ როგორ გავაკეთოთ მეტი მოცემულ ვადებში და ამ ვადების მიღმა.